პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 მარტი ოთხშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 60 (14360)

„სოფლის მეურნეობის შემდგომი, უფრო დაჩქარებული განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტა, მიწების ფართო ქიმიზაციის, მელიორაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება შეიძლება მხოლოდ სოფლის მშრომელებისა და მუშათა კლასის, მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, მრეწველობის, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ერთობლივი მეცადინეობით — მთელი საბჭოთა ხალხის ერთობლივი მეცადინეობით“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის — ოქტომბრის კლენუმის დადგენილებიდან.

მარჯვენა დაგელოცოთ!

თქვენ მოგმართავენ, ჩვენი სოფლის სახელოვანი ადამიანებო!

უკეთ, ვიდრე შარშან

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკებს საერთო ინტერესები გვამოძრავებს: შევქმნათ მეტი დოვლათი და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დიად საქმეში.

შარშან საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წარმატებით იშრომეს, ვადაზე ადრე უპატაკეს სამშობლოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულება. მათი შრომა სათანადოდაც იქნა შეფასებული.

ხუთწლედის მეოთხე წელი ახალი ამოცანების წინაშე გვაყენებს. იგი ხომ ლენინური შრომის წელიწადად არის გამოცხადებული. დაე ჩვენი სოფლის მშრომელებმა კვლავაც ისახელონ თავი, უფრო ნაყოფიერად იშრომონ, ვიდრე გასულ წელს.

ა. ფანცულაია,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი.

◆

ბარაქალა!

მოვიდა გაზაფხული, იღვიძებს ნაზამთარალი მიწა. თესლს ითხოვს და მხვნელს მთესველს მარჯვენას ელის. მუშა კაცის მარჯვენას ელიან ჩვენი ზეგები, ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები.

სოფლის მშრომელებმაც არ დააყოვნეს, ხელსაყრელი ამინდის დადგომისთანავე გელმინდვრებს მიაშურეს, ხოლო მათი საუკეთესო წარმომადგენლები დღეს სათათბიროდ შეეკრიბნენ დედაქალაქში, ფართოდ იმსჯელებენ, გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს და ერთად დასახავენ უხვი მოსავლის მოყვანის ღონისძიებებს.

ბარაქალა თქვენს მარჯვენას! ხვავი და დოვლათი ნუ მოკლებოდეთ, მშვიდობის სიმშვიდე ნუ მოკლებოდეს თქვენს შრომას!

დ. ბაძრაძე,
საბჭოთა კავშირის გმირი.

◆

კვლავაც გესახელებინოთ

დღეს კიდევ ერთხელ მოგესალმებით, ჩვენი ხვავისა და ბარაქის შემქმნელებო. სოფელი შრომით არის ღონიერი, თქვენი მარჯვენით არის დამშვენებული, თქვენი გარჯით არის აყვავებული. დაგელოცოთ ვაუკაცური შემართება — ყველა კეთილი საქმის დედამშობელი და თავი და თავი. თქვენს საქებრად მელანი არ გვეყოფა და სიტყვა არ გაგვიცვდება. არაერთხელ გისახელებიათ სამშობლო, კვლავაც მოველით თქვენგან ზღვა სიხარულს. იცოცხლეთ და იბედნიერეთ!

კარლო კალაძე,
პოეტი.

□

შრომის უკვდავება

ქართველი გლეხკაცის შრომისა და გარჯის მადლია, რომ დღეს საქართველოს ედემს ადარებენ. მისმა მარჯვენამ დაუმკვიდრა ვაზს უკვდავება, და მიწასთან ჭიდილში წარმოიშვა ჩვენი დიდებული ხალხური სიმღერები.

დღეს იხსნება საქართველოს სოფლის მოწინავე მუშაკთა შეკრება. ქართველი კომპოზიტორების სახელით მივესალმები მის მონაწილეებს და ყველას, ვინც შინ დარჩა, მაგრამ ახლა პირველ საგაზაფხულო ხნულს ავლებს ყანაში, ვაზის ნერგს ამრავლებს ვენახში და ჩაის პლანტაციებში დაფუსფუსებს, ვისუნვავ მაღალ დონეზე წარმმართოს ჩვენი სასახელო მშრომელების ეს შეკრება, რომელიც, მჯერა, მომავალი შრომითი გამარჯვებების საწინდარი იქნება.

რევაზ ლალიძე,
კომპოზიტორი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ა. ლეკიაშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ტ. ჩხაიძე, შუახევის რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. დავითაძე, მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე დ. ტაკიძე, ამაშის რაიონის სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის წევრი ჰ. ჯაბაშვილი, ქობულეთის რაიონის ორხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. ფუთურიძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ბაჯელიძე, გალის რაიონის ოქუმის ჩაის ფაბრიკის აგრონომი ც. ყოლბაია, ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის ბრიგადირი მ. მიქელაძე, გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი შ. ბილასონია, ქედის რაიონის სოფელ წონიარისის კოლმეურნეობის ბრიგადირი ლ. მახარაძე, ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. სანაია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

16 მარტი საჩრდილოეთის ფლოტი

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე 4 დღე დარჩა

როგორ მოემზადეთ?

შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა

ჰიათურა. (საკ. კორ.). ქართული მარგანეცის ქალაქი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ეგებება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს. 1.500-ზე მეტი მაღაროელი დგას შრომის ვახტზე და დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. პირველი ადგილი და საკავშირო დრშმა მოიპოვა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი.

გაძლიერდა საგაიტაციო-პოლიტიკური მუშაობა. დამატებით შეიქმნა 11 აგიტპუნქტი, სამი ამომრჩეველთა კლუბი, ორი აგიტმხატვრული ბრიგადა, მხატვრული ბრიგადა, გამოიყო 187 აგიტატორი და 23 პოლიტინფორმატორი.

ახლა განსაკუთრებით გაძლიერდა აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. არჩევნებისათვის მზადების სამსახურშია 33 აგიტკოლექტივი, 10 ამომრჩეველთა კლუბი, სამი აგიტმხატვრული ბრიგადა, 1.227 აგიტატორი, 515 ლექტორ-მომხსენებელი, პოლიტინფორმატორი. ისინი შინაარსიან და მრავალფეროვან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან.

ძველგალავნელი აგიტატორები

თელავი. (საკ. კორ.). მართლაც ძველთაძველია თელავის ის უბანი, რომლისათვისაც მახვილგონივრულად შეურქმევიათ „ძველი გალავანი“, მაგრამ უბანი ქალაქთან ერთად ახლებურად სუნთქავს. ახალი ამბების პირველი მაცნეები კი ამომრჩეველთა კლუბის აგიტატორები არიან. ი. პაპოშვილს, ე. ყარაულაშვილს და სხვებს ამომრჩევლებთან ცოცხალი სიტყვით მიაქვთ ჩვენი ქვეყნის სისხლსავსე ცხოვრების ნაირნაირი ამბები.

შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან

თბილისის სამხატვრო აკადემიის კლუბში გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან.

კრება გახსნა თბილისის კალინინის რაიონის № 17 საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ ო. ჯაფარიძემ.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ მ. ლორთქიფანიძისა და კალინინის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. ჭოღოშვილის, კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების — საქართველოს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის ა. კაკაბაძის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს უფროსის რ. გელოვანის, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივნის რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. დავითაშვილის, თელასის მეოთხე საექსპლოატაციო რაიონის უფროსის გ. ჯოზიანის, კალინინის რაიონის სატელეფონო კავშირგაბმულობის მონტორის მ. შავშიშვილის, კალინინის გამწვანების რაიონული კანტორის უფროსის ს. კვახაძის ცხოვრებასა და საქმიანობაზე ილაპარაკეს ნდობით აღჭურვილმა პირებმა და ამომრჩევლებმა ზ. ცქიტიშვილმა, ვ. შელიავამ, ლ. ქოლენტმა, ა. ლაბაძემ, ა. ჭიჭინაძემ, ლ. კაკაბაძემ, ნ. ქაჯაიამ, მ. ფაიქრიძემ, ლ. ლებანიძემ. მათ მოუწოდეს ამომრჩევლებს 16 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის დირსეულ კანდიდატებს.

შემდეგ გამოვიდნენ დეპუტატობის კანდიდატები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს თავიანთ კოლექტივებსა და ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის. (საქდესი).

დარბაზობა ლ. ი. ბრეჟნევთან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** 10 მარტს მიიღო ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი **აბდელ აზიზ ბუტეფლიკა,** რომელიც სსრ კავშირში იმყოფება ოფიციალური ვიზიტით საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება სსრ კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური, მეგობრული ურთიერთობა, რაც შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

(საკდესი).

□ □ □

მზადეგა მოძმე პარტიეგის საერთაშორისო თათბირისათვის

მიმდინარე წლის 10 მარტს მოსკოვში იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეულია 1968 წლის შემოდგომაზე მოსამზადებელი კომისიის ბუდაპეშტის სხდომაზე, მუშაობა დაიწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის მასალების მოსამზადებელმა სამუშაო ჯგუფმა. (საკდესი).

მონაწილენი ჩამოვიდნენ

მოსკოვში კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფისა და კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ არგენტინის კომუნისტური პარტიის, ბელგიის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის, ვენესუელის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, პაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის, გვადელუპის კომუნისტური პარტიის, გერმანიის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის, ესაოს კომუნისტური პარტიის, ირანის სახალხო პარტიის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის, კანადის კომუნისტური პარტიის, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის, ლიბანის კომუნისტური პარტიის, მარტინიკის კომუნისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, პარაგვაის კომუნისტური პარტიის, პერუს კომუნისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, სალვადორის კომუნისტური პარტიის, სირიის კომუნისტური პარტიის, სუდანის კომუნისტური პარტიის, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის, თურქეთის კომუნისტური პარტიის, ურუგვაის კომუნისტური პარტიის, ფინეთის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, ეკვადორის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები.

უახლოეს დღეებში მოელიან მთელი რიგი სხვა მოძმე პარტიების წარმომადგენელთა ჩამოსვლას. (საკდესი).

სკკპ დელეგაცია საგუშაო ჯგუფის სხდომებში მონაწილეობისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის მასალების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის სხდომებში მონაწილეობისათვის, რომელიც გაიხსნა მიმდინარე წლის 10 მარტს მოსკოვში, დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შეიდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. მ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ი. ანსკოვი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ნ. ინოზემცევი.

ვიზიტი დამთავრდა

11 მარტს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი **აბდელ აზიზ ბუტეფლიკა.** იგი სსრ კავშირში იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი.

ალჟირს გაემგზავრნენ აგრეთვე მისი თანმხლები პირები. (საკდესი).

ნითელწყაროს, სიღნაღის, ზუგდიდისა და გოგდანოვკის რაიონების მეცხოველეებმა გააანალიზეს თავიანთი შესაძლებლობანი და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იპისრეს ხუთწლედის დარჩენილი ორი წლისათვის.

მათ მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მეცხოველეს კიდევ უფრო მაღლა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ალსანიშნავად, გადაკაციონ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ, კაღალ შემოსავლიან დარგად.

ვაძლევნებთ ინტერვიუს პარტიის წითელწყაროს, სიღნაღის, ზუგდიდისა და გოგდანოვკის რაიკომების პირველი მდივნებისა, იმის შესახებ თუ როგორ ასრულებენ შეჯიბრების ინიციატორები ნაკისრ ვალდებულებებს.

□ □

ა. გონაშვილი,

საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

როგორ ვასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს როგორც ინიციატორები? რაიონმა 10 მარტისათვის აწარმოვა 700 ტონა ხორცი. ეს შარშანდელთან შედარებით 200 ტონით მეტია. ვაწარმოეთ 2.000 ტონა რძე, ანუ 100 ტონით მეტი, ვიდრე შარშან. უკვე მიღებულია 1.500.000 ცალი კვერცხი.

წარმატებები გვაქვს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაში. ვალდებულებთ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა უნდა შეესრულოთ 15 მარტისათვის, ფაქტიურად 10 მარტისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 585 ტონა ხორცი ნაცვლად 582 ტონისა, რძე — 1.800 ტონა ნაცვლად 1.700 ტონისა.

ორ თვეში თვითეულ საფურაეე ძროხაზე მიღებულია 150 კილოგრამი რძე, ეს შარშანდელთან შედარებით 7 კილოგრამით მეტია. ორ თვეში მიღებულია ნამატი — 1.010 ხბო, 4.200 გოჭი და 60.000 სული ბატკანი, რომლებიც მთლიანად შენარჩუნებულია.

მკაცრი ზამთრის გამო პირველ ხანებში გვქონდა სიძნელეები, კერძოდ, ფერმებში საკვების მიზიდვის საქმეში. ეს საკითხი სპეციალურად განვიხილეთ პარტიის რაიკომის ბიუროზე და სათანადო ღონისძიებათა განხორციელებით მდგომარეობა გამოსწორდა.

ჩვენმა რაიონმა დახმარების ხელი გაუწოდა აგრეთვე ძლიერი ქარისა და გრიგალის შედეგად დაზარალებულ გალისა და ზუგდიდის რაიონების მეცხოველეებს. მათ გავუგზავნეთ 600 ტონაზე მეტი ნამჯა.

რაიონში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ არ შევრცხვეთ და პირობა სასახელოდ შევასრულოთ.

დ. გელაშვილი,

საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი.

ჩვენს ვალდებულებებს რეალური პირობები უდევს საფუძვლად. გვაქვს პირველი შედეგები. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფოს უნდა მივუყიდოთ 4.960 ცენტნერი ხორცი. ბეჯითი მუშაობით, ფერმაში შრომის სწორი ორგანიზაციით ამ პირობას მალე შევასრულებთ. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 8.000 ცენტნერი ხორცი. კარგი შედეგებია რძის მიყიდვის საქმეში. პირველი აპრილისათვის სახელმწიფოსათვის უნდა მიგვეყიდა 10.120 ცენტნერი რძე. აქაც წარმატება გვაქვს და ეს დავალება უკვე შესრულდა.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ ნამატის მიღებასა და გაზრდას. რაიონში მიღებული ნამატი როგორც მსხვილფეხა რქიან საქონელში, ისე ცხვარში ძირითადად შენარჩუნებულია.

ახლა ყველგან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვაუმჯობესებთ პირუტყვის ჯიშიანობას. ყოველ თვის პირველ დღეს ფერმებში ვაწყობთ სანიტარულ დღეს.

ფერმებში ბევრგან დანერგილია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში ვფიქრობთ მეცხოველეობის 10 ბრიგადაში დავნერგოთ ელექტროწველა, 12 ბრიგადაში დავამონტაჟოთ ავტოსარწყულებლები.

სიღნაღელ მეცხოველეებს კარგად ესმით, რომ მარტო მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვე როდია საკმარისი. ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს მიღებული პროდუქტების თვითღირებულების შემცირებას. ამ საქმეშიც ჩვენი რაიონი ვალში არ დარჩება.

სიტყვა საქმედ ვაქციოთ, სახელმწიფოს მივცეთ მეცხოველეობის იაფი და მეტი პროდუქტები — ასეთია სიღნაღელთა პირობა.

ბ. კვარაცხელია,

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

რაიონში წამყვანი დარგია მეჩაიეობა. ვითარდება მემინდვრეობა, მეაბრეშუმეობა, მეციტრუსეობა. ამასთან ერთად არის შესაძლებლობა, რომ მეცხოველეობა გადავაქციოთ სოფლის მეურნეობის ინტენსიურ, მაღალპროდუქტიულ დარგად. ამ მხრივ ზუგდიდელ მეცხოველეებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ.

მაგრამ ეს მიღწევები როდია საკმარისი. ამიტომ რაიონში ბეჯითად მუშაობენ იმისათვის, რომ მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვით გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, შევამცეროთ პროდუქციის თვითღირებულება და უზრუნველვყოთ მეცხოველეობის რენტაბელობა.

ზუგდიდელი მეცხოველეები სამეურნეო წლის დაწყებიდან მთელი ძალღონით შეუდგნენ პირობის შესრულებას. 10 მარტისათვის სახელმწიფოს მივყიდეთ 299 ტონა ხორცი, ნაკისრი ვალდებულებით პირველ კვარტალში უნდა მიგვეყიდა 239 ტონა. ვადაზე 20 დღით ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

განვლილ ორ თვეში ვაწარმოეთ 2.608 ცენტნერი რძე. ეს გასულ წელთან შედარებით 984 ცენტნერით მეტია. ხორცის წარმოების ორი თვის დავალება შარშანდელთან შედარებით 21 პროცენტით გაიზარდა.

მიუხედავად პირველი ზამთრისა, რაიონში მიღებული ნამატი თითქმის მთლიანად არის შენარჩუნებული. დავიწყეთ და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეცხოველეობისათვის ახალი ბინების მშენებლობა ახალსოფლის ლენინის სახელობის და ახალი კახათის კოლმეურნეობებში.

ვ. ოქროვნელი,

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

ზუგდიდელები ძალღონეს არ დაზოგავენ ნაკისრ ვალდებულებებს შესასრულებლად. წარმატებით გადაწყვეტენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს.

ვ. დურგარიანი,

საქართველოს კპ გოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი.

წელს ბოგდანოვკელებმა გადაწყვიტეს კოლმეურნეობებს სა და საბჭოთა მეურნეობებში იოლიონ 23.964 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. აქედან 8.758 ძროხა, 1970 წელს — 24.647 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 9.225 ძროხა.

ამ ვალდებულების შესრულებისათვის რაიონის მეცხოველეებმა ფართოდ გაიჩაღეს შეჯიბრება. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, კარგად გამოაზამთრეს პირუტყვი. ვალდებულებით წელს სახელმწიფოს უნდა მივუყიდოთ 10.000 ტონა რძე, პირველ კვარტალში კი 1.430 ტონა. 10 მარტისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 1.200 ტონამდე რძე. ვალდებულებით წელს სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 2.300 ტონა ხორცი, პირველ კვარტალში — 315 ტონა, მიეყიდა 340 ტონა. დიდი გადაკარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ტყავეულლეულის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები.

ამთავითვე ვემზადებით მეცხოველეობისათვის მკაცრ საკვები ბაზის შესაქმნელად. წელს მარტო ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ნათესი 11 ათას ჰექტარს გადააჭარბებს. დაწყებულია მუშაობა საზაფხულო საძოვრების გასაუმჯობესებლად.

დღემდე მიღებული და შენარჩუნებულია 40.000 ბატკანი. ავწონ-დაწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით წელს სახელმწიფოს მივყიდოთ 200 ტონა ხორცი, 600 ტონა რძე. ეს ნიშნავს: წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მივცეთ 1.000 ტონა რძე, 650 ტონა ხორცი, 500 ათასი ცალი კვერცხი, 40 ტონა მატყლი.

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲣᲠ ᲓᲐᲠᲒᲐᲓ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲛᲘᲬᲐ, ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ ᲐᲛᲑ.

გ. ᲥᲝᲒᲣᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ.

□

ᩩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში სარწყავ ფართობებს დიდი ხვედრითი წონა აქვს, მთელი სახნავ-სათესი მიწების თითქმის 40 პროცენტს შეადგენს. დიდ სამეურნეო-ეკონომიურ ეფექტს იძლევა ჭარბტენიანი მიწების დაშრობა. მომდინარე ხუთწლედში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წარიმართება საირიგაციო ობიექტების მშენებლობა, რისთვისაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია მნიშვნელოვანი თანხები, შექმნილია პირობები საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს ამხ. ბიორგი ქოგულიას გაეცა პასუხი რესპუბლიკაში მელიორაციის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

— რა გაკეთდა უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მიწების მელიორაციის დარგში?

საქართველო ძველთგანვე მიწათმოქმედების ქვეყანაა წარმოაღგენდა და მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურების გამო მორწყვას, როგორც ნიადაგის განოყიერ ებ ი ს ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ ხელოვნური რწყვა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით კი საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

მაგრამ რელიეფის რთული პირობები და გლეხობის მცირე საშუალებანი ყველა მიწის მორწყვის შესაძლებლობას არ იძლეოდა, უპირველეს ყოვლისა რწყვისათვის იყენებდნენ ისეთ წყაროებს, რომელთა მიყანა ფართობებზე თვითდინებით ადვილი განსაზღვრელებელი იყო, ამიტომ ბევრი ნაყოფიერი ადგილი გამოუყენებელი რჩებოდა.

1914 წლისათვის საქართველოში დაიხლოებით 112 ათასი ჰექტარი მიწა ირწყვებოდა, დაშრობილი მიწები კი სრულებით არ იყო.

მეწმენიკების მმართველობის პერიოდში სარწყავი მიწათმოქმედება კიდევ უფრო დაქვეითდა, ამ საქმისადმი სრული უყურადღებობის შედეგად სარწყავი ფართობების რაოდენობა 95 ათას ჰექტარამდე შემცირდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა ხალხის დიდი ნატვრა, სახელმწიფო სათავეში ჩაუდგა სარწყავი არხების ახალი სისტემების მშენებლობისა და ექსპლოატაციის საქმეს, ამისათვის გამოიყო საჭირო თანხები და საშუალებები.

დღეისათვის საქართველოში სარწყავქსელიანი მიწები 387 ათას ჰექტარს შეადგენს, ძირითადად საინჟინრო სისტემებით დაშრობილი კი 130 ათას ჰექტარს. ამასთან 1966-1968 წლების განმავლობაში ათვისებულ იქნა 23.000 ჰექტარი სარწყავი და 7.000 ჰექტარი დაშრობილი ფართობი. უკანასკნელ წლებში მელიორაციის განვითარების ასეთი დაჩქარებული ტემპები განაპირობა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებებით გათვალისწინებულმა ამოცანებმა.

ჯერ კიდევ 1962 წელს დაიწყო ქვეყნის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც გარკაჯეთში 40 ათას ჰექტარამდე მიწას მორწყავს. ამით მძლავრი ბაზა შეიქმნება მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის.

მთავრდება უნიკალური საინჟინრო ნაგებობა — თელეთის მექანიკური მორწყვის სისტემა. მისი საშუალებით მთლიანად მოირწყვება 8.000 ჰექტარამდე ისეთი მიწები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უწყლობის გამო მოუყენებელი იყო. გამწვანდება მავნებადაც კალთები, რომელიც ქალაქის ახლომდებარე შესანიშნავ პლატოს წარმოადგენს, იგი გადაიქცევა ულამაზეს კუთხედ და ქალაქის მოსახლეობისათვის დასასვენებელ ადგილად.

ამ სისტემის პირველი რიგის სამუშაოები უკვე დამთავრებულია და გადაცემულია საექსპლოატაციოდ. გარდა ამისა, კუმისის ტბის ბაზაზე მოწყობილია 11 მილიონი კუბმეტრის ტევადობის საირიგაციო წყალსაცავი, რომელიც გაასარწყავებს 3.800 ჰექტარ ფართობს. იგი გამოყენებულია მეთევზეობისთვისაც. უახლოეს ხანში ძალიანად დამთავრდება საგურამოს, კავთისხევისა და სხვა სარწყავი სისტემების მშენებლობა.

ამჟამად ყველაზე დიდ საირიგაციო ობიექტს წარმოადგენს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს შიდა და გარე კახეთის — რესპუბლიკის ძირითადი მევენახეობა-მეხილეობის რაიონების 110 ათასი ჰექტარი მიწების გასარწყავებას. ეს დიდი და რთული საინჟინრო კომპლექსი მნიშვნელოვნად შეცვლის ამ მხარის ეკონომიკას, საგრძნობლად გაიზრდება ხარისხოვანი ღვინოების წარმოება.

— როგორია მელიორაციის პერსპექტივები რესპუბლიკაში?

მომდინარე და მომავალ ხუთწლედებში გაცილებით უფრო მაღალი ტემპებია დასახული მელიორირებული მიწების ფონდის გადიდებისათვის.

კაპიტალური მშენებლობის ხაზით რესპუბლიკაში მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია 60 ათასი ჰექტარი მიწების გასარწყავება, არსებული სისტემების რეკონსტრუქცია და წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 148 ათას ჰექტარზე, სამელიორაციო სამუშაოები 90 ათას ჰექტარზე ძირითადად კოლხიდის დაბლობის ჭარბტენიან მიწებზე და 60 ათასი ჰექტარი საძოვრების გაწყლოვანება.

ამ დავალებათა განხორციელების შედეგად 1970 წლისათვის სარწყავი და დაშრობილი ფართობები მთელ რესპუბლიკაში 580 ათას ჰექტარს მიაღწევს, ხოლო წყლით უზრუნველყოფილი საძოვრები — 680 ათას ჰექტარს.

მომდინარე ხუთწლედში მთლიანად დამთავრდება ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობა, რის შედეგადაც გარკაჯეთის 39 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობი ჩადგება სოფლის მეურნეობის სამსახურში, რომლის ძირითადი დანიშნულება იქნება ქალაქების — **თბილისისა** და **რუსთავის** მოსახლეობის მომარაგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

კიდევ უფრო მაღალი ტემპით წარიმართება ჩაის პლანტაციების მორწყვის სამუშაოები. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს როგორც ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ზრდას, ისე მყარი მოსავლის მიღებას ამინდის ყოველგვარ პირობებში.

ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კოლხიდის ამოშრობილი მიწების მთლიანად ათვისების მიზნით. მომავალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კოლხიდის დაშრობილ მიწებზე არსებული სისტემების რეკონსტრუქციისა და დამატებითი ღონისძიებების ჩატარებას, დასახლებული ადგილების სასმელი წყლით და ელექტროენერგიით მომარაგებას. ამ დავალების შესასრულებლად უკვე გასულ წელს დაიწყო დიდი წყალსაღების მშენებლობა გალის რაიონის მეურნეობის წყლით უზრუნველსაყოფად. წყალსადენი, რომელიც 370 ლიტრ წყალს მიაწვდის წამრი, ნაწილობრივ ექსპლოატაციაში შევა მომდინარე წელს.

მომავალი წლიდან დაიწყება მეორე წყალსადენის მშენებლობა ზუგდიდის, ხობის და ცხაიაის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად.

— რა განაპირობებს დასახული გეგმების შესრულებას?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა საქმის, მათ შორის წყალსამეურნეო მშენებლობის წარმატებას განაპირობებს უწინარეს ყოვლისა კვალიფიციური კადრები და მაღალი წარმადობის ტექნიკა.

საირიგაციო მშენებლობის დიდი მასშტაბები მოითხოვს, გარდა ფულადი სახსრებისა, მატერიალურ საშუალებებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვას წარმოებაში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საირიგაციო მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას, განსაკუთრებით სარწყავი ქსელის მოწყობის საქმეში.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტმა „საქსახწყალპროექტმა“ შექმნა რაიონალური და ეკონომიური ხასიათის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ასაწყობი კონსტრუქციები, რომელთა დასამზადებლად აშენდა და ამუშავდა ლილოს რკინაბეტონის ქარხანა და მთელი რიგი პოლიგონები სხვადასხვა რაიონში. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია დიდად უწყობს ხელს მშენებლობის დაჩქარებას. მშენებლობის გაზრდილი ტემპების უზრუნველსაყოფად კიდევ ერთი ასეთი ქარხანა აიგება თელავში და სხვაგან.

უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა სამინისტროს მიწისმოხრელი მექანიზმების პარკი. ამჟამად სამინისტროს გამგებლობაშია დიდძალი ტექნიკა. შექმნილია მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტი. ყოველივე ამის შედეგად მაქსიმალურად გაიზარდა სამშენებლო პროცესების მექანიზაციის დონე, რაც უდავოდ განაპირობებს დასახული გეგმების წარმატებით შესრულებას.

საგრძნობლად გაფართოვდა კვალიფიციური კადრების მომზადება, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან შეიქმნა ჰიდრომელიორაციული ფაკულტეტი, გადიდდა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსთა კადრების მოსამზადებელი ფაკულტეტის კონინგენტი პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან. რამდენიმე წელია დაარსდა ქ. საგარეჯოში ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მოსამზადებლად. პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებობს კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსები.

მშენებლობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა არსებული სისტემის მოვლა-პატრონობისა და ექსპლოატაციის საქმეს. გაუმჯობესდა რწყვის ტექნიკა და დაშრობილი მიწების გამოყენება. თანმიმდევრობით ხორციელდება რწყვის პროგრესულ მეთოდებზე გადასვლა. დიდი ღონისძიებებია განსახორციელებელი სარწყავი და დამშრობი არხების დალექვის წინააღმდეგ. ყოველწლიურად იზრდება არხების წმენდის სამუშაოებზე მექანიზაციის დონე. გადადგმულია ნაბიჯები სარწყავ სისტემებზე ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის დანერგვისათვის.

ჩვენი სადღეისო ამოცანაა ჩვაყენოთ ირიგაციია სოფლის მეურნეობის სამსახურში და ყოველი ღონისძიებით ხელი შეეუწყოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობას, მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას.

ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ...

ᲘᲕᲠᲘᲡᲐᲘᲠᲔᲑᲡ მოჰფენია თეთრი ქარავანი. ყოველწლიურად იზამთრებს აქ საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ცხვარი. იანვრის შუა რიცხვებში აქ დოლი დაიწყო. ამ გახურებული მუშაობის დროს მეცხვარეებს საქმეს აბა რა გამოულევს, მაგრამ მეურნეობის მწყემსები მაინც ახერხებენ თავისუფალ დროს ჟურნალ-გაზეთების წაკითხვას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ნიკოლოზ ლაფერიშვილი (მარჯვნივ) და ივანე თედიაშვილი კითხულობენ საინტერესო მასალას.

ფოტო ვ. ᲣᲣᲖᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲞᲣᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲡᲝᲒᲘᲡᲐ

ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲘᲓᲔᲐ პოლიტიკური აღმავლობით შეჰვდნენ საქართველოს სოფლის მშრომელნი ნაკისრ ვალდებულებათა მიმდინარე წლის გაზაფხულს. კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

გასული წელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ახალი წარმატებებით აღნიშნეს. ყურძნის, ხილის, ჩაის, ციტრუსების, ბაჟრის ჭარხლის, კარტოფილის, მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები დიდი დადაჭარბებით შესრულეს.

ამ ბოლო დროს ჩქარი ტემპით ვითარდება სოციალისტური მეურნეობა. მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდა ათეულ ათასობით ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები: ბადები, ვენახები, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა მომავალში კიდევ უფრო შემოსავლიანი იქნება.

ეროვნული წარმატებებია მოპოვებული მარცვლეულის მეურნეობაშიც. მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა საქართველოში 1940 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდა და შესაბამისად გაიზარდა მისი საერთო მოსავალიც. მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება. მიმდინარე ხუთწლედის გასულ სამ წელიწადში სახელმწიფოს ჩაბარდა 250 ათასი ტონნ მარცვლეული ნაცვლად 210 ათასი ტონისა, მაგრამ მისი განვითარების დიდი შესაძლებლობანი ჩვენში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გამოყენებული. ბევრ მეურნეობაში ხორბლის საშუალო მოსავლიანობა 11-12 ცენტნერს არ აღემატება, სიმინდისა — 16-17 ცენტნერს. მარცვლეულის წარმოებაზე კი დიდად არის დამოკიდებული ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, სურსათით უზრუნველყოფა.

სწორედ ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, რომ ინტენსიურ დარგებთან ერთად განვავითაროთ მარცვლეულის მეურნეობა. მარცვლეული და მისგან დამზადებული პროდუქტები არა მარტო ადამიანთა ძირითადი და აუცილებელი საზრდოა, არამედ მის სიუხვეზე ბევრად არის დამოკიდებული ხორცის, რძის, კვერცხის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. უფრო მეტიც, თვით ძეფაში და შემოსავლიანი კულტურების — ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის სასურსათო მარცვლეულით უზრუნველყოფის პირობებში. აქედან სავსებით სწორად უნდა მივიჩნიოთ დებულება იმის შესახებ, რომ მარცვლეულის პრობლემა ძირითადი რგოლია მთელი სოფლის მეურნეობის სისტემაში და გასაღება მისი ყველა სხვა პრობლემის გადასაწყვეტად.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმმა მთავარ ამოცანად დასახა მარცვლეულის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება.

მარცვლეულის საერთო წარმოებაში თვითი წვლილი შეაქვს ჩვენს რესპუბლიკას. პურეული, განსაკუთრებით კი ხორბალი უძველესი კულტურაა ჩვენში, მისი წარმოშობის ისტორია საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. ალბათ ის ჩვენს მიწაწყალზე ადამიანად ერთად გაჩნდა.

ჩვენს მიწაწყალზეა წარმოშობილი ხორბლის უნიკალური, უძველესი სახეობანი: ზანდური, კოლხური ანა, მასა, რომლებიც სხვაგან არსად არ გვხვდება. ისინი ბევრი თვისებით ენათესავებიან ხორბლის ველურ ფორმებს, რაც მეცნიერებს აფიქრებინებს დაასკვნან, რომ ხორბლის ეს სახეობანი უძველესი კულტურის მატარებელი არიან და საქართველო წარმოადგენს კულტურული ხორბლების წარმოშობის ერთ-ერთ ცენტრს.

საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხი ამრავლებდა და აუმჯობესებდა ხორბლის ჯიშებს, ქვეყნის მრავალფეროვან ბუნებრივ პირობებს უფარდებდა მისი მოვლა-მოყვანის წესებს. ხალხური სელექციით შექმნილია დოლისპური, დიკა, იფელი, ხულგუო, შავფსა, თავთუნი.

რევოლუციამდელ საქართველ ო შ ი სოფლის მეურნეობას ცალმხრივი, ექსტენსიური მიმართულება ჰქონდა. პურეულ კულტურებს მინდვრების 94,7 პროცენტი ეჭირა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღდგენა, მათ შორის მარცვლეულის მეურნეობისაც.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოსტნეულის, კარტოფილის, ტექნიკური კულტურების ნათესები და მრავალწლიანი ნარგავები. ყოველივე ამან რამდენადმე შეამცირა მარცვლეულის ფართობი, მაგრამ ამას არ მოჰყოლია მარცვლეულთა მთესავლის შემცირება.

1968 წელს მარცვლეულის ნათესი ფართობი რესპუბლიკაში 1940 წელთან შადარებით თითქმის 42 პროცენტით შემცირდა. მარცვლეულის საერთო მოსავალი კი ამავე პერიოდში გაიზარდა 98 ათასი ტონით, ანუ თითქმის 20 პროცენტით. მარცვლეულის საერთო მოსავალი ახლა 600 ათას ტონას აღემატება. ახლო მომავალში საჭიროა მარცვლეულის წარმოება ერთ მილიონ ტონამდე ავიყვანოთ. ამისათვის კვლავ მკვეთრად უნდა გავზარდოთ ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობა.

გასარწყავებასთან და მიწების დაშრობასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და მათ შორის სახნავი მიწებიც მომავალში რამდენადმე გადიდდება. რაც აგრეთვე გამოყენებული იქნება უმთავრესად ტექნიკური კულტურების გასაშენებლად. უმნიშვნელოდ გაიზრდება მარცვლეულთა ნათესი ფართობიც. მაგრამ ეს მარცვლეულის საერთო მოსავალს არსებითად ვერ გაზრდის.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐᲐ. აქ არის სწორედ ჩვენი დიდი რეზერვი. რას გვიჩვენებს წარსული წლების პრაქტიკა? შესაძლებელია თუ არა გაგზარდოთ მარცვლეულის წარმოება დასახულ დონემდე?

ხორბლის წარმოების ისეთი ძირითადი რაიონები, როგორიც არის წითელწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, ახმეტის და სხვ. ამ კულტურის მაღალ მოსავალს იღებენ. შარშან წითელწყაროს რაიონმა 29 ათასი ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 23 ცენტნერი მოსავალი მიიღო, ახმეტის რაიონმა მთელი ნათესი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე — 20 ცენტნერი, ყვარლის რაიონმა — 18,5 ცენტნერი, მოწინავე მეურნეობები კი გაცილებით მეტ მოსავალს იღებენ. სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობამ 2.600 ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 29 ცენტნერი მარცვლის მოსავალი მიიღო. მაგრამ მარცვლეულის წარმოების გადიდებისადმი ასეთ ყურადღებას ყველგან როდი იჩენენ.

საშუალოდ ჰექტარზე საშემოდგომო ხორბლის ძალიან დაბალ მოსავალს იღებენ ქარელის რაიონში (5,8 ცენტნერი), კასპის (6,1 ცენტნერი), დუშეთის (5,7 ცენტნერი), თეთრი წყაროს (8,1 ცენტნერი), დმანისის რაიონში (9,8 ცენტნერი), სამტრედიოსში (7,5 ცენტნერი). გარდაბნის რაიონშიც კი, სადაც ხორბალი ძირითადად სარწყავ ფართობებზე ითესება, საშუალო მოსავლიანობა 11,4 ცენტნერს არ აღემატება.

დაბალია აგრეთვე მეორე ძირითადი სასურსათო მარცვლეულის — სიმინდის მოსავლიანობა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებში). მაგალითად, შარშან აბაშის რაიონმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 11,4 ცენტნერი სიმინდი, გეგეჭკორის რაიონმა — 9,2 ცენტნერი, ცხაკაიას რაიონმა — 11,3 ცენტნერი. ხობის რაიონში სიმინდის საშუალო მოსავალი 15 ცენტნერს არ აღემატება, ზუგდიდის რაიონში — 15,6 ცენტნერს, სოლო აფხაზეთში — 9,8 ცენტნერს. ბოლნისისა და საგარეჯოს რაიონების სარწყავ მიწებზე სიმინდის საშუალო მოსავალი 15-16 ცენტნერია.

საბჭოთა სელექციონერებმა გამოიყვანეს საშემოდგომო ხორბლის უსვმოსავლიანი ჯიში „უფხო-1“, რომელმაც მარცვლეულის წარმოების ძირითად რაიონებში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. ჩვენს რესპუბლიკაშიც კი საშემოდგომო ხორბლის ნათესების 86 პროცენტი ამ ჯიშზე მოდის. მაგრამ მისი დიდი პოტენციური შესაძლებლობანი საკმარისად არ არის გამოყენებული. ყუბანის ოლქში ამ ჯიშის ხორბლის მოსავლიანობა დიდ ფართობებზე საშუალოდ ჰექტარზე 50-55 ცენტნერს აღწევს.

შარშან მიწათმოქმედების ინსტიტუტის კახეთის საცდელმა სადგურმა ამ ჯიშის 365 ჰექტარი ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 32,5

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲓᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲔᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐᲗ ᲜᲝᲛᲚᲐᲔᲗᲨᲘ ᲛᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲧᲔᲛᲚᲔᲑᲘ. ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲛᲔᲡᲘ ᲗᲕᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲧᲔᲛᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲧᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲘᲣᲠᲬᲘᲚᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲒᲠᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲧᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲜᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ

მსოფლიოს გზაჯვარედინზე

თბილისი—პარიზი

ფიროსმანი ლუვრში

„კომუნისტის“ ინტერვიუ

შესანიშნავი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. შარშან მხატვრის ფერწერული ტილოები დაათვალიერეს პოლონეთში. დეკემბერ წელს ევროპის ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გაიხსნა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ზ. რცხილაძე გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა პარიზს, საბჭოთა კავშირის საელჩოს მრჩეველს კულტურის დარგში არკადი კანანსკის და სთხოვა ეამბნა გამოფენის შესახებ.

— ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენა — თქვა ა. კანანსკიმ, — გაიხსნა ლუვრში, ამ სასახლის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში. გამოფენის გახსნა ფართოდ იყო რეკლამირებული ფრანგულ გაზეთებში. როგორც მოველოდით, გახსნაზე მრავალმა პარიზელმა და სტუმარმა მოიყარა თავი.

დილის თერთმეტ საათზე საზეიმო ვითარებაში გამოფენა გახსნა საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ანდრე მალრომ, აქვე საპატიო წევრთა შორის იყო საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ვ. ზორინი.

როგორც ეს ალბათ თქვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, გამოფენას ხელმძღვანელობენ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზ. ლეჟავა.

ხელოვნების მოყვარულნი შედიან დარბაზში და გამოფენას ათვალიერებენ. მნახველთა შორის არიან საფრანგეთის კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები მხატვრები, მოქანდაკეები, მწერლები, ჟურნალისტები. ფიროსმანაშვილის მომჯადოებელ სურათებთან დიდხანს დგანან ელზა ტრიოლე, ლუი არაგონი, შაპ პრევერი, არმან ლანუ და სხვები.

მნახველთა რიცხვს კი სულ ემატება და ემატება. დღის 3 საათზე გამოფენის დარბაზები საგანგებოდ დაუთმეს პრესის მუშაკებს. მალე ფიროსმანაშვილის გამოფენის შესახებ ფრანგულ გაზეთებში გაჩნდა წერილები, სტატიები, რეცენზიები, რომელთა ავტორები არიან ცნობილი ჟურნალისტები, ხელოვნებისმცოდნენი, მხატვრები.

პარიზში ფიროსმანაშვილი ერთ თვეს დაჰყოფს და, როგორც უკვე პირველი დღეებიდან ჩანს, ქართველი მხატვარი პარიზელთა სასურველი სტუმარი იქნება.

გამოფენის დამთვალიერებლები ხშირად ესაუბრებიან შ. ამირანაშვილსა და ზ. ლეჟავას და ამჟამად აქ, ტელეფონთან ახლოს რომ ყოფილიყვნენ, უკეთ გადმოგცემდნენ პარიზელთა შთაბეჭდილებებს. მე კი მოკლედ ვიტყოდი — ფიროსმანაშვილმა პარიზელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და დიდი მოწონებით სარგებლობს.



გვთავაზობენ ეკითხვლები

რედაქციის ფოსტას ყოველდღე მოაქვს ჩვენი მკითხველების ფოტონამუშევრები. დღეს სამ მათგანს გაგაცნობთ. „ხმელი ფიფელი“ — ასე უწოდა ჭიათურელმა ა. მაპაპარიანმა თავის სურათს (ზემოთ მარცხნივ); ზუგდიდის რაიონის სოფელ ციაშის მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს უხუცესი მეფუტკრე ვ. კუპაპა (ქვემოთ), რომელიც 100 ოჯახ ფუტკარს უვლის. იგი საყვარელი საქმიანობის დროს აღბეჭდა სურათზე კ. ყუფუნიამ: არაერთ შეჯიბრებაში უსახელებია მშობლიური რაიონის — გალის სპორტული კოლექტივი ვეტერან ცხენოსანს ბ. ზუხბაიას. სპორტსმენი წვრთნის დროს გადაიღო ლ. შენგელიამ.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფოტოგაკვეთილით

თბილისი—ბერლინი

ქართველი ქიდა და რადამესი ბერლინში

საოპერო ხელოვნების ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ ბერლინის „კომიშე-ოპერის“ მთავარმა რეჟისორმა ვ. ფელზენშტეინმა დადგა ჯუზეპე ვერდის უკვდავი ოპერა „აიდა“, რომელშიც მთავარი პარტიები — აიდასი და რადამესისა შეასრულეს ქართველმა მომღერლებმა — ციცინო ტატიშვილმა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნოდარ ანდღულაძემ. პრემიერა 9 მარტს შედგა და დიდი წარმატება ჰქონდა.

ქართველმა მომღერლებმა რთულ პარტიებში მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს და მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს. გერმანელმა პრესამ აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა მსახიობებს და აღნიშნა მათი დახვეწილი ოსტატობა.

გაქოს ფესტივალზე

ამიერკავკასიის საბავშვო თეატრების ფესტივალი დაიწყო 10 მარტს ბაქოში. ერთი კვირის მანძილზე ბაქოელთა წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგებიან თბილისის, ერევნისა და ბაქოს მოზარდმაყურებელთა თეატრები, რომლებიც ათ საუკეთესო სპექტაკლს დადგამენ.

ფესტივალი ეწყობა საბავშვო და მოზარდმაყურებელთა თეატრების მოღვაწეთა საერთაშორისო კონგრესის საბჭოთა ცენტრის გამსვლელ სესიასთან დაკავშირებით. იგი ჩაივლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ნიშნით.

(საკადესის კორ.).

ტექსელის გმირებთან...

აბაშა. (საკ. კორ.). ქალაქის პირველი საშუალო სკოლის პიონერებმა და კომკავშირელებმა ტექსელის გმირებთან ერთად ნახეს რეჟისორ შოთა მანაგაძის ახალი ფილმი „ჯვარცმული კუნძული“. სეანსის დაწყებამდე კინოთეატრის დარბაზში მოვიდნენ ტექსელის ბრძოლების მონაწილე აბაშელი გმირები კ. დარცმელიძე და გ. ვეროლაშვილი, რომლებსაც ნორჩი მაყურებლები გულთბილად შეეგებნენ. სიტყვით გამოვიდა მოსწავლე ა. ქობალავა, გაბედული ბრძოლებზე ილაპარაკა კ. დარცმელიძემ. გმირებს გადაეცათ საჩუქრები, შემდეგ კი დაიწყო ფილმის დემონსტრაცია.

სტუდენტთა კონფერენცია მზიურ ველზე

ბაკურიანი. 11 მარტი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკ „მზიური ველის“ კლუბში მუშაობა დაიწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა სტუდენტთა კომკავშირული აქტივის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელსაც აწყობს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად.

კონფერენცია გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ლაღიძემ. აღწერდა, უმაღლესი განათლებისა და სასწავლო პროცესის, მასზე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გავლენის აქტუალურ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ჯიბლაძე. მოხსენებელი შეეხო უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის აქტუალურ პრობლემებს და სპეციალისტების მოზზადების შემდგომი გაუმჯობესების საკითხს. მოხსენების შემდეგ გ. ჯიბლაძემ უპასუხა კონფერენციის მონაწილეთა მრავალ შეკითხვაზე, რომლებიც აინტერესებს და აღელვებს სტუდენტ აქტივისტებს.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ლაღიძე. მისი მოხსენების თემა იყო უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციის როლი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში და სტუდენტთა იდეურ ფორმირებაში.

— ეს კონფერენცია, — თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ო. გობიაშვილმა, — მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა ჩვენი ახალგაზრდობა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის. კონფერენციის პირველმაგე დღემ დაგვარწმუნა, რომ სტუდენტ ახალგაზრდობას აღელვებს და აინტერესებს მომავალ სპეციალისტთა მომზადებისა და აღზრდის საკითხები.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე სტუდენტი თ. კანდელაკი, მასწავლებელი ო. გიორგაძე და სხვ.

კონფერენციაში მონაწილეობენ არა მარტო სტუდენტები, არამედ უმაღლესი სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლები, რექტორები, არიან სტუმრებიც მოძმე რესპუბლიკებიდან.

კონფერენცია ბაკურიანში 16 მარტამდე გასტანს.

ს. კილაძე.

სპორტი

კვლავ ჭრიუმფი



სურათებზე: ზემოდან — ზ. ბერიაშვილი, შ. ლომიძე; ქვემოთ (მარცხნივ) — ტ. ალიბეგაშვილი და ნ. ხოხაშვილი.

გუნდის ნახევარი—მსოფლიოს ჩემპიონები

ასმეთი წარმატება არც ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე არ ჰქონიათ საბჭოთა მოჭიდაველებს. ახლახან ჩვენ ვიუწყებოდით საბჭოთა „კლასიკოსებს“ ტრიუმფზე, გუშინ კი მარ-დელ-პლატიდან ახალი სასიხარულო ცნობა მივიღეთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა არნახულ წარმატებაზე. 5 ოქროს, 1 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედალი — აი ჩვენი ათლეტების ნადაგელი.

იმ რვა საბჭოთა სპორტსმენს შორის, რომლებიც გამაოჯვების კვარცხლბეკზე ავიდნენ, ოთხი ჩვენი თანამემამულეა, მათ შორის ორი მსოფლიოს ჩემპიონი და ამდენივე ბრინჯაოს პრიზიორი.

როგორც იქნა, ბედმა გაუღიმა ზ. ბერიაშვილს. სამ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა იგი და სამჯერვე მეორე იყო. წლევანდელ ჩემპიონატში ზ. ბერიაშვილს ვეღარ იცნობდით. მისმა ტემპიანმა ბრძოლამ, უწადო ტექნიკამ და ილეთების კასკადმა საერთო აღიარება ჰპოვა. ფინალში ზ. ბერიაშვილმა 2 წუთს და 17 წამში ორივე ბეჭის ბალიჩაზე ფინელი მ. პოიალა.

ასევე პირველად იზეიმა ჩემპიონობა ჩვენმა ვეტერანმა შ. ლომიძემ. მას ფინალში პაკერობა მეტად ძლიერ მეტოქესთან — ამერიკელ ლ. კრისტოფთან ჰქონდა და შემტევი სტილით სძლია მას. ბრინჯაოს პრიზიორები საქართველოდან გახდნენ ტ. ალიბეგაშვილი და ნ. ხოხაშვილი. მიუხედავად მეორე დღის შეხვედრაში დამარცხებისა, უმჩატეს წონაში ბრძოლა ისე წარიმართა, რომ ტ. ალიბეგაშვილი დამვებულ იქნა ფინალში.

როგორც ყოველთვის, ბედალი არ ჰყავდა მძიმე წონაში ა. მედვედს, რომელმაც თითქმის ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. საბჭოთა მოჭიდავეებიდან ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე ზ. აბდულბეკოვი და ბ. გურეშიძე. ვერცხლის მედალი მოიპოვა რ. დმიტრიევმა.

აი როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით:

48 კილოგრამამდე — მ. ხუსეინი (ირანი), რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი), ა. უმედა (იაპონია); 52 კილოგრამამდე — რ. სასდერსი (აშშ), მ. ბხრბანი (ირანი), ტ. ალიბეგაშვილი; 57 კილოგრამამდე — ტ. ტანაბე (იაპონია), დ. ბემი (აშშ), ა. ტალები (ირანი); 62 კილოგრამამდე — ზ. აბდულბეკოვი (სსრ კავშირი), ტ. მორიტა (იაპონია), მ. სიაღბანი (ირანი); 68 კილოგრამამდე — ა. მოეპასდი (ირანი), ე. ვილჩევი (ბულგარეთი), ნ. ხოხაშვილი; 74 კილოგრამამდე — ზ. ბერიაშვილი, უ. უელსი (აშშ), ს. იამაგატა (იაპონია); 82 კილოგრამამდე — შ. შუზარდი (აშშ). ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები არ გათამაშებულა. 90 კილოგრამამდე — ბ. ბურეშვილი (სსრ კავშირი), რ. პეტროვი (ბულგარეთი), ხ. შენკი (აშშ); 100 კილოგრამამდე — შ. ლომიძე, ლ. კრისტოფი (აშშ), ვ. ტოდოროვი (ბულგარეთი); 100 კილოგრამს ზევით — ა. მედვედი (სსრ კავშირი), ო. დურალიევი (ბულგარეთი), ა. ანვარი (ირანი).

დამარცხებაც არის და დამარცხებაც

ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ თბილისის დინამოელთა გუშინდელი თამაში არც ჩემპიონისა და არც ლიდერის ბრძოლას არ გავდა, რა თქმა უნდა, დაუმარცხებელ გუნდს კალათბურთში იშვიათად შეხვდებით და ეს უსიამოვნო გრძნობა თითქმის ყველას ხვედრია, მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც. იყო შემთხვევა, რომ თბილისელები თამაშს აგებდნენ და მერე როგორი ანგარიშით — 34 ქულით!

არაფერია იმაში, გასაკვირელი რომ სტუმრები მოედანზე რვევანშის რწმენით გამოვიდნენ. მაგრამ ეს განწყობილება ნათლათ ქულებში აისახა. 40 წამი არც კი იყო გასულ, რომ მოსკოველები წინ იყვნენ 6:0. ქულათა სხვაობამ თანდათანობით იმატა და შესამე წუთისათვის უკვე 12:3 მიაღწია.

ბუნებრივია, ასეთმა დასაწყისმა მხოლოდ გაკვირვება გამოიწვია, მაგრამ ბევრს თამაშში გარდატეხის იმედი ჰქონდა. იმედი იმედად დარჩა, მოსკოველებმა კი ტაიმი მოიგეს 46:35. ყველაფერი დამოკიდებული იყო მეორე ნახევარზე. სამწუხაროდ, მასპინძლებს 5 წუთის განმავლობაში ერთი ქულითაც არ გაუზრდიათ ანგარიში, მოსკოველებმა კი აქტივში კიდევ 7 ქულა ჩაიწერეს. თამაშის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, როგორც იტყვიან სტუმრებს ყველაფერი გამოსდიოდათ. მასპინძლებმა კი დამთეს პოზიციები და დამარცხდნენ 64:92.

წინ არის გადამწყვეტი შეხვედრები, მათ შორის გასვლითი მატჩები, იქნებ ჩემპიონს ეს დამარცხება გაკვეთილად გამოადგეს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 მარტისათვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ჭ.
„დინამო“ (თბ.)	24	19	5	1834-1735	19
„ფალგირისი“ (კაუნ.)	24	17	7	1755-1645	17
„სტროიტელი“ (კ.)	26	17	9	1911-1807	17
„სპარტაკი“ (ლ.)	24	17	7	1705-1649	17
ცსკა	23	16	7	1746-1594	16
„დინამო“ (მ.)	27	15	12	1897-1851	15
„კალევი“ (ტ.)	24	12	12	1712-1701	12
სკა (კ.)	26	12	14	1707-1719	12
სკა (რ.)	25	8	17	1823-1897	8
„ვეფი“ (რ.)	25	7	18	1694-1821	7
„ბურევესტნიკი“ (ოს.)	26	6	20	1776-1885	6
„ლოკომოტივი“ (ალმ.)	26	4	22	1892-2149	4

ყაიმით დაიწყეს

კაბა, 11 მარტი. (საკდესი). ყაიმით დაიწყეს ჰოლანდიის ქალაქ ერსელში ორთაბრძოლა ჩვენმა გროსმაისტერმა მიხეილ ტალმა და დანიელმა ბენტ ლარსენმა. ეს არის მატჩი ჭადრაკში მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში მესამე ადგილისათვის და ამასთანავე მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო ციკლის საზონათშორისო ტურნირში გასვლისათვის.

ტალ-ლარსენის ორთაბრძოლის რეგლამენტი რამდენადმე უჩვეულოა, პარტიების დამთავრება იმ დღისვე ხდება, შესვენების შემდეგ.

ეს რეგლამენტი სტარტზეკე მიიდეს. მეტოქეებმა გათამაშეს ტარაშის დაცვა (თეთრებით ლარსენი თამამობდა), გააკეთეს 44 სვლა და შეხვედრა გადაიდო. თამაშის განახლებისას მეტოქეებმა კიდევ ოთხი სვლა გააკეთეს და პირველი პარტია ყაიმით დამთავრეს.

„ენძელას“ თასზე

გუშინ გაგრასა და ლესელიძეში გაიმართა „ენძელას“ თასის გათამაშების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში.

ბაბრაში თბილისის დინამოელებს პაექრობა ჰქონდათ სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ და გამარჯვეს ანგარიშით 2:1.

მატჩი ლესელიძეში ქუთაისის „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოს“ გუნდებს შორის დამთავრდა ტორპედოელთა სასარგებლოდ 2:0.

ნანა ლიდერთა ჯგუფში

ბელგრადი. აქ მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია ლიდერობს ოთხ მონაწილესთან ერთად, რომელებსაც, როგორც ნანას, 2,5-2,5 ქულა აქვთ. მორიგ ტურში ნანამ მოუგო ბილეკს (უნგრეთი). მეორე საბჭოთა მოჭადრაკემ ტ. ზატულოვსკაიამ წააგო შეხვედრა ბელამარიჩთან (იუგოსლავია) და ახლა ერთნახევარი ქულა აქვს.

გაიმარჯვა ლ. შტეინმა

ტალინი, 11 მარტი. (საკდესი). თუმცა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის „ტალინი-1969“-ის უკანასკნელი, მეცამეტე ტური მხოლოდ დღეს სადამოს გაიმართება, გამარჯვებული უკვე ცნობილია. ეს გახლავთ საბჭოთა გროსმაისტერი ლეონიდ შტეინი.

ერთმა გოლმა გადაწყვიტა

ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის რიგის ტურნირზე გაიმართა მორიგი შეხვედრები.

მძაფრი ბრძოლით გამორჩეოდა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ მატჩი. შეხვედრის ბედი ერთმა გოლმა გადაწყვიტა, გაიმარჯვეს ზაპოროჟიელებმა 16:15.

ნაირ-ნაირი

„უვარგისი საქონელი“

ასმ უწოდა ჩაის რუსმა ელჩმა 330 წლის წინათ, რომელიც პირველად გაეცნო ამ სასმელს.

„უმნიშვნელოვანესი მონაცემების ქრონოლოგიური ნუსხა ციმბირის 1032-1882 წლების ისტორიისათვის“, რომელიც ტობოლსკის მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება, მოწმობს: „1638 წელს ალტინ-ხანს ეწვია ელჩი — ბოიარინის შვილი ვასილ სტარკოვი, რომელმაც მოსკოვში პირველად ჩამოიტანა ჩაი. ხანმა მეფე მიხეილ თეოდორეს-ძეს სხვა საჩუქრებთან ერთად ჩაიც გამოუგზავნა. ალტინ-ხანის რეზიდენციაში, უბისის ტბაზე, მოსკოველმა ელჩებმა პირველად გაიგეს, რომ ჩაის სვამდნენ მეფის სასახლეში წვეულებების დროს და იძულებული იყვნენ მეფისათვის საჩუქრად ჩაეტანათ მათი აზრით უვარგისი საქონელი“.

სად იყო ალტინ-ხანის რეზიდენცია? ალბათ, ეს არის თანამედროვე მონღოლეთის ტერიტორია. იქ არის უბსუ-ნურის ტბა.

ი. რიაბოვი,
(საკდესის კორ.).

ტიუმენი.

მთის ნაკრძალის „საოცრებანი“

ასე ზრუნავენ ბუნებაზე

დუშანბე. გისარის ქედის სამხრეთ კალთაზე „რამიტის“ მაღალმთის ნაკრძალში ზამთრის დამლევს სხვადასხვა ჯიშის ცხოველთა საოცრად შეხმატკბილებული ოჯახი შეგეძლოთ გენახათ. ბატარა-პატარა ველებზე ღრმა თოვლში აუჩქარებლად მიდიოდნენ გრაციოზული ბუხარული ირმების, იშვიათი სილამაზის ციმბირული გარეთხების შერეული ჯოგები, რომლებსაც ზოგჯერ უერთდებოდნენ უზარმაზარრქიანი ტაჯიკური ცხვრები. მათ გვერდით ლოთ გენახათ. ბატარა-პატარა ველებზე ღრმა თოვლში აუჩქარებლად მიდიოდნენ გრაციოზული ბუხარული ირმების, იშვიათი სილამაზის ციმბირული გარეთხების შერეული ჯოგები, რომლებსაც ზოგჯერ უერთდებოდნენ უზარმაზარრქიანი ტაჯიკური ცხვრები. მათ გვერდით კი ხტუნაობდნენ მოქნილი მელიები.

უჩვეულო ღრმა თოვლმა აიძულა ცხოველები საკვების ძებნაში დაბლობებში ჩამოსულიყვნენ. აქ მათ დაეხმარნენ ნაკრძალის მუშაკები. მათ მოედნებზე მოფანტეს თივა, ქერი და მარილი. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ზაფხულში იყო მომზადებული.

რამდენიმე წლის წინათ „რამიტის“ ნაკრძალში აკლიმატიზაციისათვის გაგზავნეს ბუხარული ირმები ვახშის ქვემო დინების ტაეეტისა ბევრს არ სჯეროდა, მიაჩნდა, რომ კეთილშობილი ირმები ვერ შეეგუებიან მაღალმთის უჩვეულო პირობებს. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ამ პირველმა ცდამ წარმატებით ჩაიარა. მეცნიერებმა და მონადირეებმა დადგინეს, რომ ნაკრძალში თითქმის ასი ირემია. ჯერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინათ აქ ძლივსძლივობით ამოვიდით ციმბირული გარეთხების მცირე ჯოგს, ახლა კი ასობითაა. ნაკრძალში დამკვიდრდნენ ტაჯიკური კლდეზე მცოცავი ცხვრები. ეხლა ეს უაღრესად მფრთხალი ცხოველები უახლოვდებიან მონადირეთა სახლებს, სადაც მათთვის თივაა მომზადებული.

ნაკრძალის მუშაკებმა ბევრი ცხოველი გადაარჩინეს და ამავე დროს მოაწყვეს მათი აღრიცხვა.

ი. ნუდელი.

რადიო

18 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ო. გორდელი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპულარული კამერული მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერა „ქეთო და კოტეფან“, 11.45 — სიმღერები ა. ჩაკალიდის შესრულებით, 12.10 — ციკლიდან „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“. საუბარი „კოლექტიურობა პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია“, 12.25 — ლ. კოგანი. კონცერტი ორკესტრისათვის, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — „თათრეთის კომპოზიტორთა კავშირში“. თათრეთის რადიოს გადაცემა (მოსკოვი), 15.00 — „რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში“ (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.15 — ქართული საორკესტრო პიესები, 17.35 — მოსწავლეთათვის. ვ. კატაევი. „შვიდფერა ყვავილი“ მოთხრობა, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე. 18.45 — უკრავს ელექტრომუსიკალურ საკრავთა ორკესტრი, 19.00 — მოლიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „ლენინის თხზულებების შემსწავლელთა დასახმარებლად“. საუბარი „ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ მნიშვნელობა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიისა და სოციოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის“, 19.20 — მუსიკური მუსიკა, 19.45 — დ. არაყიშვილი. რომანსები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ჯ. როსინი. ოპერა „სევილიელი დალაქი“ (მონტანელი), 21.35 — ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია „აღსრულდა“, 22.50 — ა. ლიადოვი. სარკესტრო პიესა „ჯადოსნური ტბა“, 23.30 — უკრავს ვ. სოფრონიცკი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

12 მარტი

11.15 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 11.45 — მხატვრული ფილმი „გზა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები და რეკლამა, 18.30 — „კალეიდოსკოპი“. — საესტრადო პოპულარული პროგრამა (გადაცემა ლენინგრადიდან), 19.00 — გადაცემა ბავშვებისათვის „თქვენზე ფიქრებში“, 19.40 — „პარტიული განათლება — ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი“, 20.00 — „საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა: 1. „პალიტრა“, 2. „გლობუსი“, 21.15 — გადაცემა „სამკურნალო შხამი“, 21.35 — გადაცემა „უნგრული ოპერის ფუძემდებელი ფერენც ერკელი“, 22.00 — ციკლიდან „ქართული კინოს წარსულიდან“ — კირილე მაჭარაძე, გიორგი მაკაროვი, 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 10 ს. და 55 წ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

12 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი, **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა, **მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სოფლური სახუმარო არ არის, **ვახტანგ აბაშიძის** სახელობის **მუსიკალური** კომედიის — სიმღერა თბილისზე, **კონსერვატორიის** **დიდი** **დარბაზი** — საორგანო მუსიკის საღამო ოლეგ იანჩენკოს შესრულებით, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შეითან ხიხო (№ 36 ბობ. დილის 10 ს. და 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ცანგალა (დღის 11 ს. და 1 ს.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

მრავალ-ჟამიერ!

თქვენ გენაცვალოთ თამადა,
არავინ გახდეთ ავადა;
კვლავაც გვენახოს მომსვლელნი,
ბარაქის სანახავადა.

ჩვენი სიუხვის ლაშქარი
თითქმის სუყველა აქ არი;
რათა იმატოს დოვლათმა,
იშრომეთ, დასცხეთ, დაჰკარით!

მზე გაზაფხულის გვეძახის
თქვენ ხომ უსაქმოდ არა ხართ...
სამოცდაცხრაში ვითვლიდეთ
ჩვენს ნაჯაფარს და ბარაქას.

თქვენ გენაცვალოთ თამადა,
მიწა გვეძახის ამიერ;
შემოდგომაზე დავჭექოთ
ქართული „მრავალ-ჟამიერ“.

ტექსტი კ. გოგიაშვილისა,
ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

ქომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93-03, 99 03-09, პ/მგა. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის —93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55 01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი ფისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 04005

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.